რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის ნომერი: **BP/OUT/6865/23**

25 აპრილი, 2023 წ.

ქ-ნ თამარ ფიცხელაურს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

საგანი: დმსმ მილსადენის მდ. ყვირილას გადაკვეთიდან (KP264+733) 1,1 კმ-ის დაშორებით მდინარის გასწვრივ დაგეგმილი ნაპირგამაგრების სამუშაოები

ქ-ნო თამარ,

კომპანია BP საქართველოს (ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი, იალბუზის ქ. N14) მიერ, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (დმსმ) უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია *მდ. ყვირილას ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელება, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დმსმ-ს მდ. ყვირილას გადაკვეთიდან (კმ ნიშნული 264+733) 1,1 კმ მანძილზე დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.*

კომპანია BP საქართველოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N BP/OUT/6665/22; 18 იანვრის N BP/OUT/6747/23 და 27 თებერვლის N BP/OUT/6812/23 განცხადებებზე დამატებით, და თქვენი 2023 წლის 28 მარტის N21/2116 (ჩვენი ნომერი BP/INC/1882/23) წერილში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ დოკუმენტთა პაკეტის კორექტირებულ ვერსიას:

- შენიშვნის შესაბამისად კორექტირებულ საინფორმაციო დოკუმენტს - სკრინინგის ანგარიშს (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე).
- GIS შეიპფაილებს - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატების მითითებით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის N2-03/18541 წერილს - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი"-ს (ს/ნ 202 167 500) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო
27 04 2023
№ 3641

- 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა, ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N211130226).

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რუსუდან მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი - 36 ფურცელი.
- GIS შეიპფაილები - 1 CD.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის N2-03/18541 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- კომპანიის ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი.
- 2021 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა - 9 ფურცელი.